განკარგულება:**g-47.47220172**
თარიღი:**17/01/2022**

განკარგულება N2

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილების და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის N200 დადგენილების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებისა და „2022-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტერგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმებს განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის N200 დადგენილების ფარგლებში, მოწონებულ იქნეს 2022 წელს კონკურსზე წარსადგენილ ინფრასტრუქტურული პროექტები -

ა) ადგილობრივი ბიზნების განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციით;

ბ) სოფელ ამაღლებაში ტაძართან და გურული ენდემური ჯიშის ღვინის მარანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არიალის გაფართოებისთვის;

გ) ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია და ეთნოგრაფიული სივრცეების მოწყობა ჩოხატაურის მრავალფეროვანი ტურისტული პოტენციალის შექმნის მიზნით;

დ) ნოდარ დუმბაძისა და ანა კალანდაძის სკვერის რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული

პოტენციალის ამაღლების მიზნით.

2. ნება დაერთოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტები წარადგინოს კონკურსზე „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის N200 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, 1 თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა №4.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი